ინფორმაცია თქვენი მეორე ბუსტერის შესახებ

COVID-19 VACCINE
Public Health Advice

რატომ უნდა გავიკეთოთ მეორე ბუსტერი ვაქცინა?

თუ თქვენ ხართ:

- 65 წლის ან მეტი, ან
- 12 წლის ან მეტი, სუსტი იმუნური სისტემით

იმუნიზაციის ეროვნული საკონსულტაციო კომისია (NIAC) რეკომენსაციას იძლევა COVID-19 ვაქცინის მეორე ბუსტერზე თქვენთვის.

რატომ უნდა გავიკეთო მეორე ბუსტერი?

შეიძლება უფრო მეტად იყოთ სერიოზული დაავადების რისკის ქვეშ COVID-19-ის გამო, თუნდაც უკვე ვაქცინირებული იყოთ, რადგან:

- დაცვა ვაქცინით, რომელიც მიიღეთ, სუსტდება დროთა განმავლობაში
- შეიძლება სერიოზული დაავადების უფრო მაღალი რისკის ქვეშ იყოთ
- თქვენი იმუნური სისტემა არ პასუხობს ძლიერად ვაქცინაციას

ინფორმაცია სხვა ქვეყნებიდან აჩვენებს, რომ მეორე ბუსტერი გაძლევთ დამატებით დაცვას COVID-19-სგან და გეხმარებათ თავიდან აიცილოთ სერიოზული დაავადების განვითარება, თუ მაინც დაგემართათ COVID-19.

რომელი ვაქცინა შეიძლება გავიკეთო, როგორც მეორე ბუსტერი?

თუ ხართ 30 წლის ან მეტი ასაკის, ჩვენ გთავაზობთ Pfizer-ს ან Moderna-ს ვაქცინის ერთ დოზას. თუ ხართ 29 წლის ან ნაკლები ასაკის, ჩვენ გთავაზობთ Pfizer-ს ვაქცინის ერთ დოზას. ესენი არის mRNA ვაქცინები. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ეს ვაქცინები მაშინაც კი, თუ წინათ სხვა ვაქცინები გქონდათ მიღებული.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ არა-mRNA COVID-19 ვაქცინა, როგორიც არის Novavax, თუ mRNA ვაქცინა არ არის შესაფერისი თქვენთვის ან თუ არ გსურთ mRNA ვაქცინის მიღება. ჩვენ მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას ვაქცინების შესახებ, რომლებსაც იღებთ. თქვენ ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ის ბმულზე **www.hse.ie/covid19vaccine.**

როდის უნდა გავიკეთო მეორე ბუსტერი?

შეგიძლიათ მიიღოთ მეორე ბუსტერი, როდესაც უკვე გქონდათ:

- თქვენი COVID-19 ვაქცინების პირველი რაუნდი (ჩვეულებრივ, 2 დოზა)
- დამატებითი დოზა (მხოლოდ თუ გაქვთ სუსტი იმუნური სისტემა) და
- თქვენი პირველი ბუსტერი

თქვენ უნდა მიიღოთ მეორე ბუსტერი მინიმუმ ოთხი თვის შემდეგ თქვენი პირველი ბუსტერიდან. ადამიანთა უმეტესობისთვის, ეს იქნება თქვენი COVID-19 ვაქცინის მეოთხე დოზა. თუ გაქვთ სუსტი იმუნური სისტემა, ეს იქნება თქვენი COVID-19 ვაქცინის მეხუთე დოზა.

თუ გქონდათ COVID-19 თქვენი პირველი ბუსტერის შემდეგ, დაიცადეთ მინიმუმ ოთხი თვე, სანამ მიიღებთ მეორე ბუსტერს.

რა ვიცით მეორე ბუსტერის უსაფრთხოების შესახებ?

ჩვენ გვაქვს ნაკლები ინფორმაცია COVID-19 მეორე ბუსტერის უსაფრთხოების შესახებ გაერთიანებული სამეფო, დანია, ისრაელი და ზოგი სხვა ქვეყანა აძლევს მეორე ბუსტერს გარკვეულ ადამიანებს. კვლევები აჩვენებს, რომ ჯერჯერობით არ ყოფილა მოულოდნელი პრობლემები უსაფრთხოების მხრივ იმ ადამიანებისთვის, ვინც მიიღო პირველი და მეორე ბუსტერი.

მიოკარდიტი და პერიკარდიტი არის გულის ანთებითი მდგომარეობები და არის mRNA ვაქცინების ძალიან იშვიათი რისკები. ეს იშვიათი გვერდითი ეფექტები უფრო ხშირია მამაკაცებში 30 წლამდე ასაკით, მათი პირველადი ვაქცინის მეორე დოზის შემდეგ. ამ გვერდითი ეფექტების რისკი, როგორც ჩანს, უფრო დაბალია პირველი ბუსტერის შემდეგ.

არის ვაქცინის მეორე ბუსტერ დოზა ლიცენზირებული ევროპის მედიკამენტთა სააგენტოს (EMA) მიერ?

mRNA ვაქცინების მეორე ბუსტერები დამტკიცებულია EMA-ს მიერ. თუმცა, EMA-მ და დაავადებათა კონტროლის ევროპულმა ცენტრმა (ECDC) გამოსცეს რეკომენდაცია, რომ mRNA COVID-19 ვაქცინის მეორე ბუსტერი შეიძლება მიეცეს 80 წლის და მეტი ასაკის ადამიანებს, რადგან ისინი სერიოზული დაავადების მაღალი რისკის ქვეშ არიან და მეორე ბუსტერი უკეთეს დაცვას მისცემს. NIAC-ს რეკომენდაციები შეიძლება განსხვავდებოდეს EMA-ს რეკომენდაციებისგან, ადგილობრივი მონაცემების და მოსაზრებების გამო. ირლანდიაში ჩვენ მივყვებით NIAC-ის რჩევას.

დამატებითი ინფორმაცია

შეგიძლიათ წაიკითხოთ მეტი ვაქცინების შესახებ ბმულზე **hse.ie/covid19vaccine**.

ასევე შეგიძლიათ ესაუბროთ თქვენს ოჯახის ექიმს, ექთანს, ფარმაცევტს ან ვაქცინატორს.

გამოქვეყნებულია HSE-ის მიერ 2022 წლის 7 აპრილს

ვერსია 1

Rialtas na hÉireann
Government of Ireland